



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

საბერძნეთში საერთაშორისო დაცვის პროცედურის მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო დაცვის მაძიებელი პირი არის მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მიმართავს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადებით რეგიონალურ ოფისს ან თავშესაფრის დამოუკიდებელ უწყებებს ან თავშესაფრის სამსახურის იმ უწყებებს, რომლებიც მოქმედებენ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრებში. თავშესაფრის მაძიებელი ითხოვს არ მოხდეს მისი გაძევება, რადგან მას აქვს დევნის შიში რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან მას ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში სადაც ცხოვრობდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მას ემუქრება სიკვდილით დასჯა ან დახვრეტა, წამება ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს და ფიზიკურ ხელშეუხებლობას საერთაშორისო ან სამოქალაქო კონფლიქტების გამო.

საერთაშორისო დაცვის მაძიებელ პირად ითვლება უცხო ქვეყნის ის მოქალაქეც, რომელიც გადმოყავთ საბერძნეთში ქვეყნიდან რომელშიც მოქმედებს «დუბლინის»¹ რეგულაცია.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადება: სად და როგორ უნდა განაცხადოთ

+

- განცხადების შეტანა ხდება მიმღებ უწყებებში, რომლებიც დაუყოვნებლივ ახორციელებენ სრულ რეგისტრაციას. უფლებამოსილი მიმღები უწყებებია თავშესაფრის რეგიონალური ოფისები, დამოუკიდებელი და მობილური თავშესაფრის სამსახურის განყოფილებები.

¹ ქვეყნები, სადაც მოქმედებს „დუბლინი III“-ის რეგულაცია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, გერმანია, დანია, შვეიცარია, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, პოლანდია, უნგრეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, ჩეხეთი, ფინეთი.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- თუ თქვენ შემოხვედით ქვეყანაში კანონიერი პროცედურების გარეშე ან ცხოვრობთ საბერძნეთში არაკანონიერად, თქვენ გადაგიყვანენ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში. თუ არ გაქვთ საჯარო უწყების მიერ გაცემული მოქალაქეობის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაივლით მიღებისა და იდენტიფიკაციის პროცედურებს. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის განცხადების შესატანად, თქვენი საცხოვრებლის მიხედვით, გადაგამისამართებენ შესაბამის კომპეტენტურ ადგილობრივი რეგიონალური თავშესაფრის ოფისში, უწყებაში, რომელიც შესაძლებელია მოქმედებდეს იმ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში, სადაც ცხოვრობთ. ვალდებული ხართ დარჩეთ ამ ცენტრის საცხოვრებელ ობიექტებზე თქვენი განცხადების განხილვის დასრულებამდე, იმ შემთხვევაში თუ ეს ვადა არ აღემატება ოცდახუთ(25) დღეს.
- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადების შეტანა ხდება პირადად, თუმცა ამ პროცედურის განხორციელება უკვე შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, თვითრეგისტრაციის პროგრამის მეშვეობით.
- განცხადების რეგისტრაცია შეგიძლიათ თქვენი ოჯახის წევრების სახელზეც თუ ისინი თქვენთან ერთად იმყოფებიან საბერძნეთში და ამის სურვილი აქვთ. ამ შემთხვევაში ისინიც თქვენთან ერთად უნდა მივიდნენ თავშესაფრის სამსახურში.
- განცხადების რეგისტრაციის დროს სრული გულახდილობით უნდა უპასუხოთ უწყების თანამშრომლის შეკითხვებს. არასწორი ინფორმაცია ან მტკიცებულებები უარყოფითად აისახება თქვენი განცხადების შეფასებაზე.
- თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი, თანმხლების გარეშე, ე.ი. ხართ 18 წლამდე ასაკის, სრულწლოვანი მეურვის გარეშე, საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად ან პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომპეტენტურ პროკურორს ამის შესახებ. პროკურორი გამოგიყოფთ მეურვეს, რომელსაც დაეკისრება თქვენზე მზრუნველობის ვალდებულება და თქვენი ინტერესების დაცვა. თუ თქვენ ხართ 15 წლამდე ასაკის, თქვენს სახელზე საერთაშორისო დაცვის განცხადება უნდა შეიტანოს მეურვემ, რომელიც გამოგიყვებს. თუ თქვენ 15 წელზე მეტი ასაკის



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

ხართ, დამოუკიდებლად შეგიძლიათ განცხადების შეტანა. სახელმწიფო უწყება უზრუნველყოფს თქვენს დაცვას და განთავსებას არასრულწლოვანთათვის შესაბამის გარემოში.

- საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის დროს გადაგიღებენ სურათს და აგიღებენ თითის ანაბეჭდებს როგორც თქვენ, ასევე 14 წელზე უფროსი ასაკის ოჯახის ყველა წევრს. თითის ანაბეჭდებს შეიტანენ ევროკავშირის ერთობლივ მონაცემთა ბანკის ე.წ. „ევროდაკის“(EURODAC) სისტემაში, და თუ თქვენ უკვე შეტანილი გაქვთ საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ევროპის რომელიმე სხვა სახელმწიფოში, რომელშიც მოქმედებს „დუბლინი III“-ის რეგულაცია, გადაგიყვანენ იმ სახელმწიფოში თქვენი განცხადების განსახილველად.
- თქვენ უნდა ჩააბაროთ სამგზავრო დოკუმენტები(პასპორტი) ან თქვენს ხელთ არსებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ეხება თქვენს განცხადებას და იძლევა თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების პირადი მონაცემების, მათ შორის თქვენი ეროვნების და წარმოშობის ქვეყნის, ასევე ოჯახური მდგომარეობის დაზუსტების შესაძლებლობას.
- შესაძლებელია ჩაგიტარდეთ სხეულის შემოწმება ან მოხდეს თქვენი ნივთების დათვალიერება, აგრეთვე პირველადი სამედიცინო შემოწმება.
- თავშესაფრის სამსახური დაგინიშნავთ გასაუბრების თარიღს და გადმოგცემთ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობას, რომლის მოქმედების ვადა შესაძლებელია იყოს 6 თვემდე. ეს მოწმობა თან უნდა ატაროთ ყოველთვის.
 - არ შეიძლება მისი ლამინირება
 - უნდა შეინახოთ კარგ მდგომარეობაში
 - არ უნდა დაკარგოთ, რადგან აღდგენა რთულია
- განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, უფლებამოსილ უწყებებს ევალებათ თქვენთვის გასაგებ ენაზე მოგაწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის პროცედურაზე, თქვენს უფლებებსა და მოვალეობებზე და ამ პროცედურაში არსებულ ვადებზე.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- თუ თქვენ ხართ წამების, გაუპატიურების ან სხვა სერიოზული ძალადობის მსხვერპლი, დახმარებისთვის უნდა აცნობოთ სახელმწიფო უწყებებს.
- შეგიძლიათ მოითხოვოთ დაკავშირება გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ან იმ ორგანიზაციასთან რომელიც გაგიწევთ იურიდიულ, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.
- ამ პროცესის განმავლობაში უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენს მიერ შერჩეული ადვოკატის ან სხვა მრჩეველის დახმარება(თავშესაფრის სამსახურის შუამავლობის გარეშე). ამ შემთხვევაში, ადვოკატის ან სხვა მრჩეველის მომსახურების საფასურის გადახდა დაგეკისრებათ თქვენ.
- თუ სურვილი გაქვთ, მთელი ამ პროცესის განმავლობაში მოგეცემათ მცირე დრო გასაუბრებისთვის სათანადოდ მომზადებისა და თქვენი ადვოკატის ან სხვა მრჩეველისგან რჩევის მისაღებად.
- ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის სერიოზული მიზეზი, შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენთვის სასურველი სქესის როგორც გასაუბრების წამყვანი ასევე თარჯიმანი, თქვენს მოთხოვნას შეაფასებს სამსახური და დააკმაყოფილებს შეძლებისდაგვარად.
- თუ ხართ არასრულწლოვანი თანმხლების გარეშე, თქვენი წარმომადგენელი (მეურვე) ვალდებულია გაცნობოთ გასაუბრების შესახებ. თქვენს წარმომადგენელს (მეურვეს) მოიწვევენ და ექნება შესაძლებლობა დაესწროს გასაუბრებას თქვენთან ერთად. თქვენი ასაკის დასადგენად, სახელმწიფო უწყებებს შეუძლიათ ჩაგიტარონ სამედიცინო შემოწმება. ამ პროცედურის ჩატარება ითვალისწინებს თქვენი ან თქვენი წარმომადგენლის თანხმობას, ამიტომ ორივე თქვენგანი წინასწარ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განხილვის შეწყვეტა და განცხადების უსიტყვო გაუქმება

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ თქვენი განცხადების განხილვის პროცესი. ამისთვის, პირადად უნდა გამოცხადდეთ თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში, სადაც შეიტანეთ განცხადება და წერილობითი ფორმით მოითხოვოთ მისი განხილვის შეწყვეტა. ამ



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

შემთხვევაში თქვენი განცხადება აღარ განიხილება და თქვენ ვალდებული იქნებით დატოვოთ ქვეყანა თუ არ გექნებათ სხვა რომელიმე ბინადრობის ნებართვა.

თავშესაფრის სამსახურს შეუძლია ჩათვალოს, რომ აღარ გაინტერესებთ თქვენი განცხადების განხილვის გაგრძელება და შეწყვიტოს პროცედურა (უსიტყვო გაუქმება) იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) უარს იტყვით თქვენს განცხადებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც მოგთხოვთ სახელმწიფო უწყებამ,
 - ბ) არ გამოცხადდებით პერსონალურ გასაუბრებაზე, რომელიც დაგინიშნათ უწყებამ,
 - გ) თუ გაიქცევით საპატიმრო განყოფილებიდან,
 - დ) არ შეასრულებთ პოლიციის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს, რომლებიც დაგეკისრათ პატიმრობის სანაცვლოდ,
 - ე) თვითნებურად, შეთანხმების გარეშე დატოვებთ სახელმწიფო უწყებების მიერ გამოყოფილ საცხოვრებელ ობიექტს,
 - ვ) დატოვებთ ქვეყანას თავშესაფრის სამსახურის ნებართვის გარეშე,
 - ზ) დაუყოვნებლივ არ შეატყობინებთ თავშესაფრის სამსახურს საცხოვრებელი მისამართის და საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ,
 - თ) არ დაუკავშირდებით თავშესაფრის სამსახურს მათი მოთხოვნის მიუხედავად,
 - თ) არ ჩააბარებთ დოკუმენტაციას, რომელიც ნამდვილად ხელთ გაქვთ ან ვალდებული ხართ გქონდეთ და გაქვთ მათი ჩაბარების შესაძლებლობა,
 - ი) არ გამოცხადდებით მოწმობის გადასავადებლად ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.
 - კ) არ თანამშრომლობთ ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის მოვალეობების დარღვევის წინააღმდეგ
 - ლ) არ დაემორჩილებით გადაწყვეტილებას თქვენი გადაყვანის შესახებ მიღებისა და იდენტიფიკაციის პროცედურის დასრულების მიზნით, რითაც ხელს შეუშლით საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის პროცედურების შეუფერხებლად დასრულებას.
- იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილების მიმღები უწყება ჩათვლის, რომ თქვენ უსიტყვოდ გააუქმეთ განცხადება, თქვენს განცხადებას განიხილავენ



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

მათ ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე და არ დააკმაყოფილებენ თუ განცხადება ჩათვალეს უსაფუძვლო. თუ თავშესაფრის სამსახური არ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას, თქვენ უფლება გაქვთ შეიტანოთ სარჩელი სააპელაციო ორგანოში.

თუ სამსახურმა მიიჩნია, რომ საქმის განსახილველად არ გააჩნია საკმარისი მონაცემები, სამსახური მიიღებს თქვენი განცხადების განხილვის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში იწყება თქვენს ქვეყანაში თქვენი დაბრუნების პროცესი. თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენი საქმის განხილვის გაგრძელება ან ახალი განცხადების რეგისტრაცია მხოლოდ ერთხელ, განხილვის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებიდან ცხრა(9) თვის ვადაში.

საერთაშორისო დაცვის განცხადებების განხილვის პროცედურა

- საერთაშორისო დაცვის პროცედურები ხელმისაწვდომია ყველასთვის და არის უფასო. საერთაშორისო დაცვის განცხადების შეტანის უფლება აქვს მესამე ქვეყნის ყველა მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.
- თქვენი განცხადების სრულ რეგისტრაციაში შედის თქვენი პირადი მონაცემები, თქვენი წარმოშობის ქვეყანა, მამის სახელი, დედის სახელი, მეუღლისა და მისი შვილების სახელები, თუ გაქვთ ელ.ფოსტის მისამართი, ბიომეტრიული მონაცემები, სრული ჩამონათვალი იმ მიზეზებისა, რის გამოც ითხოვთ საერთაშორისო დაცვის სტატუსს, თქვენი საცხოვრებელი ადგილის ან ბინის მისამართი, ენა, რომელზეც გსურთ განიხილონ თქვენი განცხადება და თქვენი სურვილის შემთხვევაში, უფლებამოსილი წარმომადგენლის დანიშვნა.
- თუ რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია თქვენი სრული რეგისტრაცია, თქვენი განცხადების წარდგენიდან სამი(3) სამუშაო დღის ვადაში უნდა მოხდეს მინიმალური საჭირო მონაცემების რეგისტრაცია, მათ შორის თქვენთვის სასურველი ენის. ამის შემდეგ ჩაგიტარდებათ სრული რეგისტრაცია, რომლის თარიღსაც წინასწარ გაცნობებენ. ამ შემთხვევაში თქვენ მოგცემენ დოკუმენტს თქვენი პირადი მონაცემებით და თქვენი ფოტოთი, რომელსაც ჩააბარებთ სრული რეგისტრაციის დღეს და მის სანაცვლოდ მოგცემენ თავშესაფრის მაძიებლის მოწმობას.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- განცხადების რეგისტრაცია მოხდება სათანადო თარჯიმნის დახმარებით, რაც საშუალებას მოგვცემთ თქვენთვის გასაგებ ენაზე შეძლოთ კომუნიკაცია თავშესაფრის სამსახურის მუშაკთან
- თქვენ უნდა ჩააბაროთ სამგზავრო დოკუმენტები (პასპორტი) ან ნებისმიერი თქვენს ხელთ არსებული სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ეხება თქვენს განცხადებას და იძლევა თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების პირადი მონაცემების, მათ შორის თქვენი ეროვნების და წარმოშობის ქვეყნის, თქვენი ოჯახური მდგომარეობის დაზუსტების შესაძლებლობას.
- თავშესაფრის სამსახურის მიერ განსაზღვრულ დღეს თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელი ჩაგიტარებთ გასაუბრებას. თქვენ სრული გულახდილობით უნდა უპასუხოთ მის მიერ დასმულ შეკითხვებს, განაცხადოთ მხოლოდ რეალური ფაქტების შესახებ და არ დამალოთ ინფორმაცია, რომელიც კავშირშია თქვენს განცხადებასთან. თუ თქვენს მიერ მოყვანილი ფაქტები და ბრალდებები სიმართლეს არ შეესაბამება, ეს უარყოფითად აისახება თქვენი განცხადების გადაწყვეტილებაზე.
- თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელი გასაუბრებაზე დაგისვავთ შეკითხვებს რეგისტრაციის დროს თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, თქვენს საიდენტიფიკაციო მონაცემებზე, იმ მიზეზებზე რის გამოც წამოხვედით თქვენი წარმოშობის ქვეყნიდან ან იმ ქვეყნიდან, სადაც ცხოვრობდით, ხართ თუ არა მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე იმ მიზეზებზე რის გამოც არ შეგიძლიათ ან არ გსურთ უკან დაბრუნება. გასაუბრების დროს შეგიძლიათ დაამატოთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია.
- თუ ენის ბარიერის გამო თქვენ ვერ შეძლებთ თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელთან კომუნიკაციას, გასაუბრებას დაეხმარება თარჯიმანი.
- გასაუბრებაზე შეგიძლიათ მოხვიდეთ ადვოკატთან ან მრჩეველთან ერთად (იურისტთან, ექიმთან, ფსიქოლოგთან ან სოციალურ მუშაკთან).
- გასაუბრების შინაარსი არის კონფიდენციალური.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- შესაძლებელია მოხდეს გასაუბრების აუდიო ჩაწერა. თუ არ მოხდება გასაუბრების აუდიო ჩაწერა, თავშესაფრის თანამშრომელი შეადგენს ოქმს, რომელიც შეიცავს გასაუბრების დროს დასმულ ყველა კითხვა-პასუხს. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა შეამოწმოთ გასაუბრების ოქმი თარჯიმნის დახმარებით, დააზუსტოთ ტექსტის შინაარსი, მოითხოვოთ შესწორება და მოაწეროთ ხელი. გასაუბრების ოქმის და აუდიო ჩანაწერის ასლები შეგიძლიათ მოითხოვოთ ნებისმიერ დროს.
- გასაუბრების შემდეგ თავშესაფრის სამსახური გადაწყვეტს მოგანიჭოთ ლტოლვილის სტატუსი თუ დროებითი დაცვის სტატუსი, ან უარყოფს თქვენს განცხადებას.
- თუ ხართ არასრულწლოვანი თანმხლების გარეშე, გასაუბრების შესახებ უნდა შეგატყობინოთ თქვენმა მეურვემ. თქვენი მეურვე იქნება მოწვეული და მას შეეძლება გასაუბრებაზე თქვენთან ერთად დასწრება. თუ გაჩნდა ეჭვი თქვენს ასაკთან დაკავშირებით, ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ჩაგიტარონ სამედიცინო შემოწმება თქვენი ასაკის დასადგენად. თქვენ და თქვენი მეურვე უნდა იყოთ ინფორმირებული ამ პროცედურის შესახებ, რადგან საჭიროა ერთ-ერთი თქვენგანის თანხმობა.
- როდესაც თქვენს განცხადებაზე გამოვა გადაწყვეტილება, თავშესაფრის სამსახური გაცნობებთ ამის შესახებ თქვენს მიერ განცხადებული საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, ტელეფონით, წერილით, შეტყობინებით, ფაქსით ან ელ.ფოსტით.
- თავშესაფრის სამსახურმა გადაწყვეტილება უნდა გადმოგცეთ სათანადო თარჯიმნის დახმარებით თქვენთვის გასაგებ ენაზე.

თავშესაფრის მაძიებლის უფლებები და მოვალეობები

თავშესაფრის მაძიებლის უფლებები

როგორც თავშესაფრის მაძიებელს საბერძნეთში, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- ✓ თქვენი განცხადების განხილვის დასრულებამდე უფლება გაქვთ დარჩეთ საბერძნეთში. ამ დროს თქვენი ქვეყნიდან გაძევება იკრძალება.
- ✓ თქვენ გაქვთ ქვეყანაში თავისუფლად გადაადგილების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენს მოწმობაში მითითებულია ქვეყნის



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

კონკრეტული ნაწილი, სადაც გეძლევათ მოძრაობის უფლება, ე.ი. გაქვთ გეოგრაფიული შეზღუდვა.

- ✓ იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ მუშაობთ და თქვენი ფინანსური რესურსები არ არის საკმარისი თქვენი ყოველდღიური საჭიროებებისთვის, გაქვთ შემწეობის მიღების უფლება. აგრეთვე, უფლება გაქვთ მოითხოვოთ განსახლება მიმღებ საცხოვრებელ ობიექტებში ან სხვა ტიპის საცხოვრებელში (განსახლების პროგრამა კერძო სახლებსა და სასტუმროებში). თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში.
- ✓ თქვენ უფლება გაქვთ იმუშაოთ საბერძნეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების თანახმად, საერთაშორისო დაცვის განცხადების რეგისტრაციის დღიდან ექვსი (6) თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ თქვენ გაქვთ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა.
- ✓ როგორც დასაქმებულს, თქვენ გაქვთ იგივე სადაზღვევო უფლებები და მოვალეობები, როგორც საბერძნეთის მოქალაქეს.
- ✓ იმისათვის რომ გქონდეთ წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, შეგიძლიათ აიღოთ უცხოელთა დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის დროებითი ნომერი(Π.Α.Α.Υ.Π.Α.).
- ✓ თქვენი შვილებისთვის ხელმისაწვდომია უფასო საჯარო განათლება.
- ✓ თუ ხართ სრულწლოვანი, თქვენთვის ხელმისაწვდომია სრული საშუალო განათლების მიღება.
- ✓ თქვენთვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მიღება.
- ✓ თუ ხართ 67%-ი ან მეტი ინვალიდობის მქონე პირი, უფლება გაქვთ მიიღოთ ინვალიდობის პენსია, თუ თქვენი გაჩერება შეუძლებელია საცხოვრებელ ცენტრში.

თავშესაფრის მაძიებელთა მოვალეობები

როგორც თავშესაფრის მაძიებელს საბერძნეთში, თქვენ გაქვთ შემდეგი მოვალეობები:

- ✓ თქვენ არ შეგიძლიათ საბერძნეთიდან გამგზავრება, გარდა გამონაკლისი განსაკუთრებული გარემოებებისა, როდესაც ჩნდება



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

ჰუმანიტარული მიზეზები, დადასტურებული სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც მიუთითებს თქვენი ყოფნის აუცილებლობას სხვა ქვეყანაში. თქვენ უნდა მიმართოთ თავშესაფრის სამსახურს განცხადებით სამგზავრო დოკუმენტების გაცემის შესახებ. თუ თქვენ წახვალთ ქვეყნიდან თავშესაფრის სამსახურის შეტყობინების გარეშე, თქვენი განცხადების განხილვის პროცესი შეწყდება.

- ✓ თქვენ უნდა დარჩეთ საბერძნეთში თქვენი განცხადების განხილვის პროცესის დასრულებამდე.
- ✓ არ შეგიძლიათ ჩამოიყვანოთ საბერძნეთში ოჯახი თქვენი წარმოშობის ქვეყნიდან.
- ✓ თქვენ უნდა ითანამშრომლოთ საბერძნეთის უწყებებთან თქვენს განცხადებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და თქვენი პირადი მონაცემების დასაზუსტებლად.
- ✓ დაგვიანების გარეშე, პირადად უნდა გამოცხადდეთ მიმღებ უწყებებში კომპეტენტური ორგანოების გამოძახებისთანავე.
- ✓ უნდა ჩააბაროთ თქვენი სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი) და ნებისმიერი თქვენს ხელთ არსებული სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ეხება თქვენი განცხადების განხილვას და თქვენი პირადი მონაცემების, მათ შორის თქვენი ეროვნების და წარმოშობის ქვეყნის, თქვენი ოჯახური მდგომარეობის დაზუსტების შესაძლებლობას.
- ✓ ვალდებული ხართ შეატყობინოთ თავშესაფრის სამსახურს, როგორც საცხოვრებელი მისამართის და საკონტაქტო მონაცემების, აგრეთვე მათი შესაძლებელი ცვლილებების შესახებ. საკონტაქტო მონაცემების ცვლილებების განცხადება შეგიძლიათ ელექტრონული ფორმით. თავშესაფრის სამსახური გამოგიგზავნით თქვენს განცხადებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე.
- ✓ უნდა დაიცვათ თქვენი განცხადების განხილვის პროცედურის სხვადასხვა ეტაპზე დანიშნული ვადები.
- ✓ ვალდებული ხართ თავშესაფრის მაძიებლის მოწმობა განაახლოთ ვადის ამოწურვამდე, ან არაუგვიანეს ვადის ამოწურვიდან მომდევნო სამუშაო დღეს.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- ✓ თქვენ უნდა გაამჟღავნოთ თქვენი რეალური ფინანსური მდგომარეობა იმ შემთხვევაში თუ იღებთ დახმარებას სახელმწიფოსგან.
- ✓ თქვენ ჩამოგერთმევით უფასო ლტოლვილთა ბანაკებში ან სხვა საცხოვრებელში განსახლების უფლება, იმ შემთხვევაში თუ:
 - დატოვებთ საცხოვრებელ ობიექტებს შესაბამისი უწყებების შეტყობინების გარეშე,
 - არ განაცხადებთ თქვენი პირადი მონაცემების ცვლილების შესახებ, ან არ უპასუხებთ მოთხოვნებს თქვენს განცხადებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, ან არ გამოცხადდებით დანიშნულ დღეს პირად გასაუბრებაზე,
 - გაუმართლებელი მიზეზის გარეშე არ შეიტანთ თავის დროზე საერთაშორისო დაცვის განცხადებას,
 - დამალავთ ფინანსურ რესურსებს და არასასურველი ფორმით ისარგებლებთ მატერიალური პირობების მიღებით.
- დაარღვევთ საცხოვრებელი ცენტრების მუშაობის წესებს.
- ✓ კომპეტენტურ უწყებებთან სავალდებულო თანამშრომლობის მოვალეობის დარღვევა, კერძოდ, სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის არარსებობა თქვენი განცხადების განხილვისთვის საჭირო ინფორმაციის დასადგენად, აბრკოლებს საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის პროცედურების შეუფერხებლად დასრულებას და შესაბამისად იწვევს თქვენი განცხადების განხილვის შეწყვეტას.

გასაჩივრების უფლება და მეორე ინსტანციაში განხილვა

- თუ თქვენი განცხადება უარყვეს ან მოგანიჭეს დამხმარე დაცვის სტატუსი და თვლით, რომ გეკუთვნით ლტოლვილის სტატუსი, თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ სააპელაციო ორგანოს. გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში თქვენ უნდა შეიტანოთ საჩივარი თვშესაფრის რეგიონალურ ოფისში ან თავშესაფრის იმ რეგიონალური ოფისის ფილიალში, რომელმაც გადმოგცათ გადაწყვეტილება.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- თუ ცხოვრობთ ლტოლვილთა ბანაკში, თავშესაფრის რეგიონალური ოფისიდან (დამოუკიდებელი უწყებიდან) შორს, სადაც გამოიტანეს გადაწყვეტილება, თქვენ შეგიძლიათ სარჩელის შეტანა თქვენთვის უახლოესი თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში. ასეთ შემთხვევაში, თქვენი სარჩელი იმავე დღეს გაიგზავნება ელექტრონული ფორმით თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში ან თავშესაფრის სამსახურის დამოუკიდებელ უწყებაში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სარჩელის შეტანის პროცედურა ხდება თქვენი პირადი გამოცხადებით თავშესაფრის სამსახურის შესაბამის ოფისში დოკუმენტის (საჩივარი) წარდგენით, რომელზეც ხელს აწერთ თქვენ ან თქვენი ადვოკატი. თუ ხართ პატიმარი, სარჩელი უნდა შეიტანოთ თქვენი საპატიმრო დაწესებულების ან საცხოვრებელი ბანაკის უფროსთან, რომელიც გააგზავნის თქვენს სარჩელს ფაქსით ან სხვა ელექტრონული ფორმით თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში ან თავშესაფრის რეგიონალური ოფისის დამოუკიდებელ უწყებაში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.
- სარჩელის შეტანის შემდეგ თქვენ ხელახლა მოგცემენ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობას.
- თქვენი სარჩელი განიხილება სააპელაციო კომიტეტის მიერ. როგორც წესი, სააპელაციო კომიტეტი თქვენს საქმეში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განიხილავს თქვენს სარჩელს და არ მოგიწვევთ გასაუბრებაზე. თუმცა, შეგატყობინებენ თქვენი სარჩელის განხილვის თარიღს და ამასთან ერთად, თუ სურვილი გექნებათ, დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობას, რომელიც სააპელაციო კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს განხილვის დროს.
- თქვენი სარჩელის განხილვის დღეს, ვალდებული ხართ პირადად გამოცხადდეთ სააპელაციო კომიტეტის სათაო ოფისში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში თქვენი საჩივარი იქნება უარყოფილი.
- თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ სარჩელი მისი განხილვის პროცედურის დასრულებამდე. თქვენ პირადად უნდა გამოცხადდეთ რეგიონალურ თავშესაფრის სამსახურში სადაც უნდა შეიტანოთ წერილობითი განცხადება. თუ თქვენ გააუქმებთ თქვენს სარჩელს, ის აღარ განიხილება. ამ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ დატოვოთ ქვეყანა თუ არ გაქვთ სხვა ბინადრობის ნებართვა.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- სააპელაციო კომიტეტმა შეიძლება ჩათვალოს, რომ აღარ გაინტერესებთ სარჩელის განხილვის გაგრძელება (უსიტყვო გაუქმება) და შეწყვიტოს მისი განხილვა თუ:
 - 1) უარს იტყვით თქვენი განცხადების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც მოგთხოვთ სახელმწიფო უწყებებმა, ან
 - 2) გაიქცევით საპატიმრო დაწესებულებიდან, ან
 - 3) არ დაიცავთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც დაგაკისრათ პოლიციამ პატიმრობის სანაცვლოდ, ან
 - 4) დატოვებთ სახელმწიფო უწყებების მიერ გამოყოფილ საცხოვრებელს მათთან შეთანხმების გარეშე, ან
 - 5) დატოვებთ ქვეყნას თვშესაფრის სამსახურის ნებართვის გარეშე, ან
 - 6) დაუყოვნებლივ არ შეატყობინებთ თავშესაფრის სამსახურს საცხოვრებელი მისამართის და საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ, ან
 - 6) არ დაუკავშირდებით სააპელაციო კომიტეტს მათი მოთხოვნის მიუხედავად, ან
 - 7) არ წახვალთ მოწმობის გადასავადებლად ვადის გასვლის დღიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.
 - 8) არ ჩააბარებთ დოკუმენტაციას, რომელიც ნამდვილად ხელთ გაქვთ ან ვალდებული ხართ გქონდეთ და შეგიძლიათ მათი ჩაბარება,
- იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომიტეტმა გადაწყვიტა გამოგინახოთ გასაუბრებაზე, ამის შესახებ გაცნობებენ გასაუბრებამდე არა უგვიანეს ათი(10) სამუშაო დღით ადრე. თქვენ უფლება გაქვთ გამოცხადდეთ სააპელაციო კომიტეტში ადვოკატის ან სხვა მრჩეველის თანხლებით.
 - სააპელაციო კომიტეტი გადაწყვეტს მოგანიჭოთ ლტოლვილის ან დამხმარე დაცვის სტატუსი ან არ დააკმაყოფილებს თქვენს სარჩელს.
 - სააპელაციო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადმოცემის პროცედურა ანალოგიურია თავშესაფრის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადმოცემის პროცედურასთან.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანა, საქმის შესაბამისად ხდება თხუთმეტი(15)დღიდან სამ(3) თვემდე ვადაში,
- თუ თქვენი სარჩელი არ დაკმაყოფილდა ან მოგენიჭათ დამატებითი დაცვის სტატუსი, და მიგაჩნიათ რომ თქვენ გეკუთვნით ლტოლვილის სტატუსი, შეგიძლიათ შეიტანოთ განცხადება გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შესაბამის ადგილობრივი პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულ სასამართლოში, გადაწყვეტილების გადმოცემის მომდევნო დღიდან ოცდაათი(30) დღის ვადაში. გადაწყვეტილების გაუქმების განცხადებას არა აქვს ავტომატურად აღმდგენი ეფექტი, ანუ შესაძლებელია თქვენი ქვეყნიდან გამეფებათუ თქვენი სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.

თუ ხართ პატიმრობაში

თუ ხართ პატიმრობაში ან ცხოვრობთ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში (KYT), საპატიმრო დაწესებულება ან მიმღები და საიდენტიფიკაციო უწყებები აცნობებენ თავშესაფრის სამსახურს თქვენი საერთაშორისო დაცვის განცხადების სურვილის შესახებ და დაიგეგმება თქვენი განცხადების რეგისტრაცია.

თქვენი განცხადების რეგისტრაციის დღეს მოხდება თქვენი გადაყვანა უახლოესი თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში ან რეგისტრაცია ჩატარდება ადგილზე მოქმედი თავშესაფრის სამსახურის უწყებაში.

რეგისტრაცია მოხდება თქვენთვის გასაგებ ენაზე სათანადო თარჯიმნის დახმარებით, ხოლო თავშესაფრის სამსახურის მუშაკი მოგაწვდით პროცედურასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას.

თუ გაქვთ პირადობის დამადასტურებელი საბუთები, როგორც არის პასპორტი, ან თქვენს განცხადებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია, თან უნდა იქონიოთ. განცხადების რეგისტრაციის დროს გადაგიღებენ ფოტოს და აგიღებენ თითის ანაბეჭდებს.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

რეგისტრაციის შემდეგ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობის მაგივრად მოგცემენ დოკუმენტს, რომელშიც მითითებულია გასაუბრებაზე გამოცხადების თარიღი.

თუ სისხლის სამართლებრივ პატიმრობაში ყოფნის დროს შეიტანთ საერთაშორისო დაცვის განცხადებას, თქვენ დარჩებით პატიმრობაში სასჯელის მოხდამდე.

თუ მოითხოვთ საერთაშორისო დაცვის სტატუსს ქვეყანაში უკანონოდ შემოსვლის გამო პატიმრობაში ყოფნისას, ან აპირებთ ქვეყნის დატოვებას, შესაძლებელია დარჩეთ პატიმრობაში, თუ პოლიციამ გადაწყვიტა, რომ თქვენს შემთხვევაში შეუძლებელია გავრცელდეს სხვა ზომები, რათა:

- ა) მოხდეს თქვენი ნამდვილი ვინაობის ან წარმოშობის დაზუსტება.
- ბ) დადგინდეს ის მონაცემები, რომლებსაც ეფუძნება თქვენი განცხადება, რომელთა მოპოვებაც სხვა შემთხვევაში იქნებოდა შეუძლებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს თქვენი გაქცევის საშიშროება.
- გ) არსებობს საფუძვლიანი მიზეზები იმის ვარაუდისა, რომ განცხადება შეიტანეთ უკან დაბრუნების გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნების ან შეფერხების მიზნით.
- დ) საფრთხეს უქმნით ეროვნულ უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს
- ე) რადგან არსებობს (EE) No. 604/2013 რეგულაციით გათვალისწინებული გაქცევის მნიშვნელოვანი საფრთხე, და იმისათვის, რომ გარანტირებული იქნას ტრანსპორტირების პროცედურის განხორციელება ზემოთ აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად.

- თქვენი პატიმრობის ვადა, თქვენი დაპატიმრების მიზეზიდან გამომდინარე, შეიძლება გაგრძელდეს ორმოცდაათი (50) დღიდან თვრამეტ(18) თვემდე. გადაწყვეტილებას თქვენი პატიმრობის შესახებ იღებს პოლიციის უფროსი, რომელმაც დეტალურად უნდა განმარტოს თქვენი დაპატიმრების მიზეზი.
- თქვენ უფლება გაქვთ გააპროტესტოთ თქვენი დაპატიმრების გადაწყვეტილება კომპეტენტური პირველი ინსტანციის



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლესთან ან თავჯდომარესთან, იმ რაიონში სადაც დაკავებული ხართ.

- თუ თქვენ გადაწყვეტთ შეწყვიტოთ განცხადების განხილვის პროცედურა, პირადად უნდა განაცხადოთ ამის შესახებ თავშესაფრის სამსახურის კომპეტენტურ მუშაკთან. ამ მიზნით მოხდება თქვენი გადაყვანა თავშესაფრის სამსახურის უახლოეს რეგიონალურ ოფისში, თუ თქვენი პატიმრობის დაწესებულებაში ან ახლოს არ მოქმედებს დამოუკიდებელი თავშესაფრის სამსახურის უწყება.
- თუ იმყოფებით პატიმრობაში ან ცხოვრობთ მიმღები და საიდენტიფიკაციო სამსახურის საცხოვრებელ ობიექტზე, საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობას გადმოგცემენ თქვენი გათავისუფლების დღეს ან მიღებისა და იდენტიფიკაციის პროცედურების დასრულების შემდეგ, თუ თქვენი განცხადების განხილვის პროცესი არ არის დასრულებული. თქვენ აუცილებლად უნდა გამოცხადდეთ შესაბამის თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში რათა განაცხადოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები და გადმოგცენ მოწმობა, თუ არ აიღეთ მანამდე.
- გადაწყვეტილება თქვენი განცხადების თაობაზე გადმოგცემათ პირადად თავშესაფრის სამსახურის შესაბამისი მუშაკისგან ან საპატიმრო დაწესებულების, საცხოვრებელი ცენტრის ან ლტოლვილთა საცხოვრებელი ობიექტის უფროსისგან.
- თუ გადაწყვეტილება არის უარყოფითი, თქვენ შეგიძლიათ პირადად შეიტანოთ სარჩელის განცხადება თავშესაფრის სამსახურის კომპეტენტურ მუშაკთან.
- თუ თქვენს საპატიმრო დაწესებულებაში ან ახლოს არ მოქმედებს თავშესაფრის სამსახურის დამოუკიდებელი უწყება, საჭირო იქნება თქვენი გადაყვანა უახლოესი თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში.
- იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ცხოვრობთ ლტოლვილთა საცხოვრებელ ობიექტზე ან თავშესაფრის რეგიონალური ოფისიდან შორს, სადაც გადმოგცეს გადაწყვეტილება, შეგიძლიათ შეიტანოთ სარჩელის განცხადება უახლოესი თავშესაფრის რეგიონალურ ოფისში ან ობიექტის უფროსთან.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

- თუ გადაწყვეტილება დადებითია, გამოვა თქვენი პატიმრობის გაუქმების ბრძანება. განთავისუფლების დღეს მოგცემენ ყველა საჭირო დოკუმენტაციას. ამის შემდეგ, ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ უახლოეს თავშესაფრის სამსახურის რეგიონალურ ოფისში და განაცხადოთ თქვენი მისამართი და საკონტაქტო მონაცემები.

განმეორებითი განცხადება

განმეორებითი განცხადება არის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადება, რომელიც ხელახლა შეგაქვთ საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რომელიც მიიღო პოლიციამ ან თავშესაფრის სამსახურმა ან სააპელაციო ორგანომ ან, მიღებული იქნა პირველადი საერთაშორისო დაცვის განცხადებაზე თქვენი უარის საფუძველზე. იმისათვის რომ შეიტანოთ განმეორებითი განცხადება თავშესაფრის სამსახურში, მიღებული უნდა გქონდეთ საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება საბერძნეთის პოლიციისგან ან თავშესაფრის სამსახურისგან, და არსებობდეს ახალი მიზეზები, რომელთა გამოც ითხოვთ მოგენიჭოთ საერთაშორისო დაცვის სტატუსი (თავშესაფარი).

განმეორებითი განცხადება უნდა შეიტანოთ რეგიონალური თავშესაფრის ოფისში ან თქვენს საცხოვრებელ ადგილთან ახლომდებარე თავშესაფრის დამოუკიდებელ უწყებაში და განაცხადოთ უახლოესი ფაქტები. განმეორებითი განცხადების რეგისტრაციის შემდეგ თქვენ არ მოგცემენ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობას.

თავშესაფრის სამსახური განიხილავს თქვენს მიერ განცხადებულ ახალ ინფორმაციას და გადაწყვეტს მნიშვნელოვანია თუ არა თქვენი საერთაშორისო დაცვის განცხადებისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის სამსახურმა მიიღო განხილვაში თქვენი განმეორებითი განცხადება, თქვენ მოგცემენ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობას და განცხადების განხილვა გაგრძელდება თავშესაფრის სამსახურის მიერ.



HELLENIC REPUBLIC

Ministry of Migration & Asylum

თუ სამსახურმა უარყო თქვენი განმეორებითი განცხადება, თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ სარჩელის განცხადება სააპელაციო ორგანოში, თქვენთვის გადმოცემულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადებში.

თუ თქვენ მეორეჯერ შეიტანთ განმეორებით განცხადებას, მისი განხილვის პერიოდში არა ხართ დაცული დეპორტისგან.

გვსურს გაცნობოთ, რომ თავშესაფრის სამსახურის ტერიტორიაზე აკრძალულია შემდეგი ნივთების შეტანა: იარაღი, ბასრი ან სხვა საგნები, რომელებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ტრავმის მიყენების მიზნით. აგრეთვე ფეთქებადი და აალებადი მასალები, ქიმიური და მომწამვლელი ნივთიერებები.

აგრეთვე, ტერიტორიაზე აკრძალება იმ პირების შესვლა, რომელთაც თან აქვთ ბარგი ან ჩანთები. გამონაკლისს წარმოადგენს საქალაქდები და პატარა ხელჩანთები.

მოზილური ტელეფონების გამოყენება შეიზღუდება თავშესაფრის სამსახურის მხოლოდ ღია ტერიტორიაზე. აკრძალება ფოტოს და ვიდეოს გადაღება თავშესაფრის სამსახურის როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში.